# ბიზნეს სიახლეები

2026 წლის პირველი კვარტალში გამოქვეყნებული სიახლეები

## საგადასახადო სიახლეები

**განისაზღვრა საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.**

ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც ქართულ კომპანიებს დაეკისრათ ვალდებულება საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 126–129[1] მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ. აღნიშნული მიზნით, მოგების გადასახადის დეკლარაციებს დაემატა ახალი დანართები (ყოველთვიურ დეკლარაციაში – დანართი „4“, ხოლო წლიურ დეკლარაციაში – დანართი „მ“) სახელწოდებით – „ინფორმაცია საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შესახებ“.

პირს ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ წინა წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ჯამური მოცულობა აღემატება 500 000 ლარს. აღნიშნულ ზღვარში გაითვალისწინება ასევე უსასყიდლო ოპერაციების საბაზრო ღირებულება და დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების ნაშთები.

ინფორმაციის წარდგენა განხორციელდება შემდეგ ოპერაციებზე:

- საქონლის/მომსახურების მიწოდება/შესყიდვა
- მატერიალური/არამატერიალური აქტივების მიწოდება/შესყიდვა
- მიღებული/გაცემული სესხები
- საპროცენტო/შემოსავალი ან ხარჯი
- მიღებული/გაცემული გარანტიები
- სხვა ფინანსური ოპერაციები
- არამატერიალური აქტივის გამოყენებისთვის გადახდილი/მიღებული თანხები (როიალტი);
- ბიზნესის რესტრუქტურიზაცია - რომელიც დანართის მიზნებისთვის არის ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კომერციულ ან ფინანსურ ურთიერთობებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც იცვლება მხარეთა მიერ შესრულებული ფუნქციები, აღებული რისკები და გამოყენებული აქტივები; ასევე, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტა, გადახედვა და არსებითი ცვლილება;
- სხვა კონტროლირებული ოპერაციები - დანართის მიზნებისთვის კონტროლირებული ოპერაცია, მათ შორის, არის უსასყიდლოდ განხორციელებული და ბარტერული ოპერაციები.

ინფორმაცია წარედგინება ყოველწლიურად, მარტის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციის სპეციალურ დანართში. ხოლო იმ პირებისთვის, რომლებიც წლიური მოგების გადასახადით იბეგრებიან, ინფორმაციის წარდგენა მოხდება წლიური მოგების გადასახადის დეკლარაციაში.

ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება გავრცელდა 2025 წელს და შემდგომ საანგარიშო პერიოდებში განხორციელებულ ოპერაციებზე.

**ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 25 თებერვალი**

**წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f2960b80-6433-4817-954f-3229feeaabfd?openFromSearch=true**

## განხორციელდა ცვლილებები მიკრო ბიზნესის, მცირე ბიზნესის და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის რეჟიმებთან დაკავშირებით.

2026 წლის 7 მარტიდან შეიცვალა მიკრო ბიზნესის სტატუსიდან მცირე ბიზნესის სტატუსზე გადასვლის პირობები და დაბეგვრის წესები. კერძოდ:

- თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი გადააჭარბებს 30 000 ლარს, ან იგი დაიწყებს დაქირავებული პირის შრომის გამოყენებას და ამ მომენტის დადგომიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს მიმართავს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით, მას გაუუქმდება მიკრობიზნესის სტატუსი და მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი გადაჭარბების დღიდან ან დაქირავებული პირის შრომის გამოყენების დაწყების დღიდან. ამასთან, მის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი კვლავ დაექვემდებარება დაბეგვრას მიკრობიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად;
- ზემოაღნიშნული 15 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართვის შემთხვევაშიც, ფიზიკურ პირს მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი მიმართვის დღიდან და მის მიერ საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით დაბეგვრას დაექვემდებარება მიმდინარე წლის დასაწყისიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი;
- თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ გადააჭარბებს 30 000 ლარს და საგადასახადო ორგანოს მიმართავს მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების მიზნით, მას მიენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი მიმართვის დღიდან და მის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავალი დაექვემდებარება დაბეგვრას მიკრობიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები ვალდებული იქნებიან უზრუნველყონ საგადასახადო დოკუმენტების შენახვა 3 წლის ვადით, ნაცვლად 6 წლისა. ეს ვადა აითვლება იმ საგადასახადო პერიოდის კალენდარული წლის დასრულებიდან, რომლის საგადასახადო ვალდებულების დადგენისთვისაც იგი არის აუცილებელი.

მცირე ბიზნესის სტატუსი პირს მიენიჭება საგადასახადო ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის დღიდან (ნაცვლად მომდევნო თვის პირველი რიცხვისა). ამასთან, ზემოაღნიშნული პერიოდიდან სავალდებულო გახდა „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის“ წარდგენა მაშინაც კი, როდესაც გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია. ამასთან, იმ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთაც გაუუქმდათ მცირე ბიზნესის სტატუსი, უფლება ექნებათ სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართონ საგადასახადო ორგანოს სტატუსის გაუქმების წლის მომდევნო საგადასახადო წლიდან და ხელახლა მიიღონ სტატუსი.

დაზუსტდა, რომ ფიზიკური პირის შემთხვევაში, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭებისას, ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია სავალდებულოა. ხოლო ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის გაუქმება გამოიწვევს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმებას.

**ნორმატიული აქტი: „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N999 ბრძანება**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 7 მარტი**

**წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/c96c4f6f-2a00-4eca-ab9c-b96c8c44ae02**

## ამოქმედდა საშემოსავლო გადასახადის დაბრუნების ახალი მექანიზმი შეღავათებით მოსარგებლე ფიზიკური პირებისთვის.

2026 წლის 1 ივლისიდან, საშემოსავლო გადასახადში შეღავათით მოსარგებლე ფიზიკურ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, დაიბრუნონ მათ შემოსავალზე გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი.

გადასახადის დაბრუნების აღნიშნული წესით სარგებლობას შეძლებენ შეღავათით მოსარგებლე შემდეგი პირები:

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანი და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეები;
- პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;
- მარტოხელა მშობელი;
- პირი, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
- პირი, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციაში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში; მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო;

წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით აუცილებელია:

- ფიზიკური პირი დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად;
- საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება „საგადასახადო  შეღავათით მოსარგებლე პირებისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის თაობაზე“.

დაკავებული გადასახადის თანხის პირისათვის დაბრუნებას საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს ხსენებული განცხადების წარდგენის თვის მომდევნო საანგარიშო პერიოდიდან, ყოველი თვის 20 რიცხვში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირზე გაცემულია ცნობა „გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ“, ზემოხსენებული განცხადების წარდგენის შემდეგ მოცემული ცნობა გაუქმებულად ჩაითვლება, რის შესახებაც საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს დამქირავებლის ინფორმირებას, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე სავალდებულოდ წასაკითხი შეტყობინების გაგზავნის გზით.

პირისთვის გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების შემდეგ, დამქირავებლის (საგადასახადო აგენტის) მიერ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის შესწორებული დეკლარაციის წარდგენა ამ მუხლის საფუძველზე დაბრუნებული თანხის გადაანგარიშების საფუძველია.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის შეწყვეტის მიზნით, პირმა საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს განცხადება „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობის შეწყვეტის თაობაზე“, რა შემთხვევაშიც გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის თანხის დაბრუნების წესით სარგებლობა შეწყდება მომდევნო წლის პირველი იანვრიდან.

**ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 ივლისი**

**წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f4a82a05-d140-49cc-8538-f7237f73370c**

## ! განხორციელდა ცვლილებები აქციზური ნაწარმის ჩამოწერის წესში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N994 და N996 ბრძანებებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, განახლდა საქართველოში წარმოებული, აქციზური მარკით ნიშანდებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერისა და დაბეგვრის წესები.

2025 წლის 5 თებერვლიდან, მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური ნაწარმის ჩამოწერა განხორციელდება ადგილზე გასვლით და დასრულდება პროდუქციის სრული განადგურებით. საგადასახადო ორგანო მოახდენს ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ N24-ში (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტი) მითითებული აქციზური ნაწარმის არანაკლებ 2%-ის შერჩევას დათვალიერების მიზნით.  შერჩევა განხორციელდება უდიდესი შეფუთვის აქციზური ნაწარმის ყუთის მიხედვით, ხოლო თითოეული ყუთიდან აქციზური ნაწარმის არანაკლებ 2% ოდენობის უმცირესი შეფუთვის მიხედვით.

მოგახსენებთ, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტში მითითებულია აქციზური მარკების სერიული ნომერი/სერიული ნომრების დიაპაზონი აქციზური ნაწარმის შემთხვევაში, აქციზური ნაწარმის რაოდენობა და სხვა მახასიათებლები.

აღსანიშნავია, რომ ჩამოწერისას გამოყენებული აქციზური მარკები ჩაითვლება უტილიზებულად, შესაბამისად, აღნიშნული მარკები აღარ დაექვემდებარება აქციზით დაბეგვრას.

ამასთან, 2025 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის პირველ აგვისტომდე, სრული განადგურების ფორმით ჩამოწერილ, საქართველოში წარმოებულ აქციზურ ნაწარმზე, მწარმოებლის მიერ ნიშანდებული აქციზური მარკები, მწარმოებლის მიერ შემოსავლების სამსახურისათვის წარდგენილ განცხადებაში მითითებული სერიული ნომრებით/ სერიული ნომრების დიაპაზონით, ჩაითვლება უტილიზებულად და არ დაექვემდებარება აქციზით დაბეგვრას.

**ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 5 თებერვალი**

**წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/e1073de9-1cee-40b2-8e71-ac893a8cbfef https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/4b309adc-26a2-422b-af5f-aba1e877241b**

## ! განხორციელდა ცვლილება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის ჯარიმისგან გათავისუფლების წესში.

პირებს, რომელთაც შეეფარდათ ჯარიმა სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა), მიეცათ შესაძლებლობა, კეთილსინდისიერების საფუძვლით გათავისუფლდნენ დაკისრებული ჯარიმისგან მაშინაც, როდესაც ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის, თუმცა არაუგვიანეს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისათვის სსკ-ით დადგენილი ვადისა, მათ უკვე წარდგენილი აქვთ შესაბამისი დღგ-ის დეკლარაცია. ცვლილებამდე, ჯარიმისგან გათავისუფლებით სარგებლობისთვის, დღგ-ს დეკლარაცია წარდგენილი უნდა ყოფილიყო სამართალდარღვევის ოქმის გამოცემამდე.

აღსანიშნავია, რომ ძალაში რჩება ჯარიმისგან გათავისუფლების სხვა პირობები:

- დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა გამოვლენილია უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ, საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის საფუძველზე;
- გადასახადის გადამხდელს სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ან ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის, პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება/აღიარებული მოსაკრებელი;
- დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში წარდგენილ განცხადებაში პირმა დააფიქსირა ამ განცხადების წარდგენის თვეში (მიმართვის თვის დასაწყისიდან მიმართვის მომენტამდე) განხორციელებული დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა.

**ნორმატიული აქტი: „საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის №9021 ბრძანება**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 4 თებერვალი**

**წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/124c56d6-f704-44eb-bc80-d8f4defac4e5**

ECOVIS®

## სხვა საკანონმდებლო სიახლეები

**ცვლილება შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მეწარმე იურიდიული პირის პოლიტიკური აქტივობის განხორციელების კონტექსტში.**

მეწარმე იურიდიული პირის მიერ საჯაროდ ისეთი პოლიტიკური აქტივობის განხორციელება, რომელიც მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით. აგრეთვე განისაზღვრა შეთხვევები, თუ რა მიიჩნევა პოლიტიკურ აქტივობად (მუხლი 15313). აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ რაიონული სასამართლოები 1 დღე-ღამის ვადაში, ხოლო სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილი პირები.

**ნორმატიული აქტი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 4 მარტი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6803333?publication=0**

**ცვლილება შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, სამეთვალყურეო საბჭოს საკანონმდებლო დანაწესების ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელის შექმნა შესაძლებელია იმ სამეწარმეო საზოგადოებებში, რომლის ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.**

კერძოდ, აღნიშნული დარეგულირდა შემდეგნაირად: „იმ სამეწარმეო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში, აგრეთვე სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50-პროცენტიანი ან 50 პროცენტზე ნაკლები წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას ამ საწარმოსთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. სამეწარმეო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეა, მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს სათანადო ანაზღაურების გარეშე ასრულებს და მისი საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობად არ მიიჩნევა (მუხლი 46).

**ნორმატიული აქტი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 ნოემბერი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6680773?publication=0**

**2025 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში საპენსიო ფონდის ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები.**

კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რეგულირების სფერო მოიცავს საპენსიო ფონდის მმართველობით საბჭოს კომიტეტების შექმნაზე, საპენსიო ფონდის კომიტეტების შესაბამისი წესდებებისა და საქმიანობის შეფასებაზე, საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შეთანხმებაზე, მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე და ა.შ (მუხლი მუხლი 52[3]).

ამავე წლის ცვლილების თანახმად, განისაზღვრა ეროვნული ბანკის უფლებამოსილება კომერციული ბანკების, მიკრობანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის − დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და საპენსიო ფონდის ანგარიშების ქონისა და მათგან დეპოზიტების მის მიერ დადგენილი წესით მიღების შესახებ.

2025 წლის 9 დეკემბრის ცვლილების თანახმად, კანონს დაემატა ვირტუალური აქტივის მომსახურების დეფინიცია (მე-2 მუხლის „ჰ[13]"), ეროვნულ ბანკს მიეცა შესაძლებლობა ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერს გაუწიოს ზედამხედველობა, მიიღოს ინფორმაცია, დაუწესოს მოთხოვნები, დაუდგინოს შესაფერისობის კრიტერიუმები, ადგილზე ან/და დისტანციურად შეამოწმოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან ან/და თავის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი, აგრეთვე მოითხოვოს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თავის მიერ განსაზღვრული ფორმით მიიღოს მისგან ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაცია, გარდა ამისა, თავის მიერ დადგენილი წესით დააკისროს სანქცია (მათ შორის, ფულადი ჯარიმა).

დამატებით, ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება საფინანსო სექტორის წარმომადგენელს, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერსა და სესხის გამცემ სუბიექტს მომსახურების გაწევისას დაუდგინოს წესი მომხმარებლის უფლებების დაცვის (მათ შორის, მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების) შესახებ და ა.შ. (მუხლი 525)

**ნორმატიული აქტი: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 9 დეკემბერი, 2024 წლის 27 ივნისი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6691908?publication=0 ; https://matsne.gov.ge/ka/document/view/6225813?publication=0**

**2026 წლის 1-ლი მარტიდან ცვლილებები შევიდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, საქართველოში უცხოელთა დასაქმება/თვითდასაქმება მხოლოდ შესაბამისი რეგულაციების დაცვით მოხდება. იმისათვის რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე კანონიერად დასაქმდეს ან განახორციელოს შრომითი/სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის დისტანციურად „შრომითი საქმიანობის უფლების“ მოპოვება დასჭირდება.**

ცვლილებების თანახმად, საქართველოში უცხოელთა დასაქმება/თვითდასაქმება მხოლოდ შესაბამისი რეგულაციების დაცვით მოხდება. იმისათვის რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე კანონიერად დასაქმდეს ან განახორციელოს შრომითი/სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის დისტანციურად „შრომითი საქმიანობის უფლების“ მოპოვება დასჭირდება. თუ მიგრანტი განაცხადის შევსებისას არ ფლობს რაიმე სახის ბინადრობის ნებართვას, „შრომითი საქმიანობის უფლების“ მიღების შემდეგ, საჭირო იქნება მოიპოვოს D1 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა ან/და შრომითი ბინადრობის ნებართვა.

უცხოელთათვის „შრომითი საქმიანობის უფლების“ ნებართვებს სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ გასცემს. შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის პროცესი სრულად ელექტრონულია და სარეგისტრაციო პორტალი 1 მარტიდან იქნება ხელმისაწვდომი. ნებართვის მიღება ფასიანია, საფასური კი დამოკიდებულია მომსახურების ვადაზე: სტანდარტული განხილვა (30 დღე) - 200 ლარი; დაჩქარებული განხილვა (10 სამუშაო დღე) - 400 ლარი.

შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის მიხედვით, ბიზნესი ვალდებული ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმებამდე, ვაკანსია მინიმუმ 10 სამუშაო დღით განათავსოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში Worknet.moh.gov.ge-ზე, თუ ვაკანსიაზე, აღნიშნულ დროში შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი კადრი ვერ მოიძებნა, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ნებართვა დამსაქმებელს წარადგინოს განცხადება უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების შესახებ, შრომითი მიგრაციის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში. კანონის მიხედვით ნებართვის მიღების საფასური დამსაქმებელმა უნდა გადაიხადოს.

შრომითი საქმიანობის უფლება კონკრეტულ პოზიციასა და კონკრეტულ დამსაქმებელზე გაიცემა 1 წლამდე ვადით. რაც შეეხება თვითდასაქმებულ უცხოელს, „შრომითი საქმიანობის უფლების“ მოსაპოვებლად ელექტრონულ განაცხადს თავად ავსებს და თავად იხდის შესაბამის საფასურს. თვითდასაქმებულზე სამუშაო უფლება გაიცემა კონკრეტული სფეროს, სექტორისა და სამეწარმეო საქმიანობის მითითებით. თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე თავს აარიდებს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ნორმებს ეს გამოიწვევს, როგორც დასაქმებულის ასევე დამსაქმებელის, დაჯარიმებას, მათ შორის თვითდასაქმებულის უცხოელის ფინანსურ ჯარიმებს. ფინანსურ სანქციებს განსაზღვრავს ამავე კანონის 161 მუხლი, რომლის თანახმადაც, შრომითი საქმიანობის უფლების გარეშე ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისათვის ადგილობრივი დამსაქმებლი/მომსახურების ორგანიზატორი, შრომითი იმიგრანტი, და თვითდასაქმებული უცხოელი (თითოეულ შრომით იმიგრანტზე  ინდივიდუალურად) დაჯარიმდება 2 000  ლარის ოდენობით. აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ჯარიმის (2000 ლარის) ორმაგი ოდენობით.

**ნორმატიული აქტი: „შრომითი მიგრაციის“ შესახებ საქართველოს კანონი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 მარტი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6543098?publication=0**

**! ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის მიერ დაკითხვის შესაძლებობა, თუ ეს პირი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გამოსაკითხად არ ცხადდება და აქვს სახელმწიფო აუდიტის მიერ მინიჭებული ინფორმაცია მისი უფლებამოსილების გასანხორციელებლად.**

კერძოდ, თუ პირს შესაძლოა ჰქონდეს  საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური პარტიის წევრის, საარჩევნო სუბიექტის ან განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის ან „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს კანონით „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სხვა უფლებამოსილების განსახორციელებლად და რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გამოსაკითხად არ ცხადდება, შესაძლებელია ამ დანაწესის თანახმად, დადგენილი წესით დაიკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე (მუხლი $21^{110}$ პირველი ნაწილი).

**ნორმატიული აქტი: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 4 მარტი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6802991?publication=0**

**ცვლილება შევიდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულება.**

კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება სასამართლომ აღასრულოს. კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების საფუძველზე შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ. სასამართლო კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს განიხილავს ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით.

ამავე კანონის 131  მუხლი დადგინდა, რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზე შეიძლება ცნოს და აღასრულოს სასამართლომ. საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სასამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლო.

**ნორმატიული აქტი: „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 09 დეკემბერი, 2025 წელი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6691115?publication=0**

**ამავე კონტექსში ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სახელმწიფო ბაჟის გადახდის კონტექსტში, რომლის მიხედვითაც კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადებაზე, საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე – 150 ლარს.**

აგრეთვე ცვლილება შევიდა ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში, კერძოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასამართლო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდება, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო შეთანხმებით დასრულება სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოხდა ხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

ცვლილება შევიდა ასევე წარმომადგენლის უფლებამოსილების ნაწილში, რომლის მიხედვითაც მინდობილობაში სპეციალურ ასახვას საჭიროებს ასევე საქმის არბიტრაჟისთვის გადაცემა და სასამართლო მედიაციის პროცესში წარმომადგენლობა (მუხლი 98).

აგრეთვე, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი შეთანხმების აღსრულების საკითხის განსჯადობას, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული სამართალწარმოება განხორციელდება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის/ იურიდიული მისამართის მიხედვით. სასამართლო აღნიშნულ საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, განცხადების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში (მუხლი მუხლი 363[31]). სასამართლო კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით. მხარეს ამ განჩინებასთან ერთად გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი. კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება (მუხლი 363[33]).

**ნორმატიული აქტი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 9 დეკემბერი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6691127?publication=0**

## ! ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და დიზაინის უფლებათა დაცვაზე.

ცვლილების თანახმად, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინზე უფლებების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი კანონის მიხედვით. აგრეთვე განისაზღვრა, რომ გამოგონებიდან, სასარგებლო მოდელიდან ან დიზაინიდან გამომდინარე პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებები განუსხვისებელი და უვადო უფლებებია (მუხლი 1100).

**ნორმატიული აქტი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 11 ნოემბერი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=136**

## ! საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც არეგულირებდა კოდექსის გამოყენების გავრცელებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე

**ნორმატიული აქტი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**

**ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 11 ნოემბერი**

**წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6698281?publication=0#DOCUMENT:1**


### საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81
tbilisi@ecovis.ge
www.ecovis.ge